რედაქცია

ველი მ. ნოვის ქუჩაზე, პრტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

პირველი სექტემბრიდამ

მიიღება რედაქციაში

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე"

ახალი ხელის-მომწერნი მიიღებენ გაზეთის ყველა ნომრებს ამ წლის 1 სექტემბრიდამ ვიდრე 1876 წლის 1 იანვრამდი.

ფასი ოთხი თვის ხელის-მომწერლებისათვის ს ა მ ი მ ა ნ ე თ ი ა, ნახევარი წლის გაზეთისა—4 მან. და 50 კაპ.

საქართველო

ქალაქის გამგეობის სხდომები

—

ხალხი დაბრუნდა სოფლებიდამ და აგარაკებიდამ. ქალაქს ჩვეულებრივი სიცოცხლე და მოძრაობა დაეტყო.

ყველა თავ-თავის საქმეს დაადგა. ყველას ჰსურს, რაც შეიძლება უკეთ მოიხმაროს ის ჯანი, რომელიც სოფელში, მადნის წყლებზე და აგარაკებში ცხოვრების დროს შეიძინა. ყველა ცდილობს, რომ ერთი-ორად ამოიგოს ის დრო, რომელიც ამ ზაფხულს მუქთად და უსარგებლოთ გაატარა.

იწყება გაცხარებული ვაჭრობა, გაცხარებული სხდომები სხვა და სხვა საზოგადოებათა და გამგეობათა, გაცხარებული სწავლა გიმნაზიებში.

მაგრამ ჩვენთვის კი, ამ ჟამად, ყველაზე უფრო საინტერესო და ყურადღების ღირსი ის სხდომებია, რომელიც გუშინწინ გაიხსნა ჩვენი ქალაქის გამგეობაში.

ჩვენ თვალწინ გვიდევს პროგრამმა ამ სხდომებისა, რომელშიაც სამოცდა ორი ისეთი საგანია მოხსენებული, რომელზედაც ამ ახლო ხანებში უნდა მოილაპარაკოს ჩვენმა ქალაქის გამგეობამ.

როგორც ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის პროგრამმიდამ ნახავთ, წლევანდელ გამგეობის სხდომებს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქალაქის მომავლისათვის. მართლაც, საგნების სიაში მოხსენებულია, რომ წელს სხვათა შორის შემდეგ საგნებზე უნდა მოილაპარაკონ:

ქალაქის თეატრზე, („დღიურში" ნახავთ—ეს კითხვა როგორც გადაწყდა ჯერ-ჯერობით), წყლის გაყვანაზე, ქუჩების გაზით განათებაზე, რკინის გზის სტანციიდამ ქალაქამდი საცხენო რკინის გზის გაყვანაზე, ქალაქის სახელოსნო სასწავლებელზე, ობლების მზრუნველობაზე, საექიმო ნაწილის გამართვაზე და სხვ. და სხვ.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ წლევანდელმა გამგეობის კრებებმა რომ ნახევარი ამ კითხვებისა რიგიანათ გადაწყვიტოს, — ისიც ძალიან საკმაო იქნება, იმისთვისაც მადლობის ღირსი იქნება.

საუბედუროთ, ჩვენ არ ვიყავით მიჩვეული საზოგადოთ ჩვენი წინანდელი ქალაქის გამგეობისაგან, რომ მსწრაფლად და საყოველთაო დასაკმაყოფილებლად გადაეწყვიტნა ქალაქის საქმეები. სხვა საგნებზე არას ვიტყვით, და ეს რამდენი წელიწადია, თითქმის მუდამ წელს ქუჩების გაზით განათებაზე და წყლის გაყვანაზე სჯიდენ, ბაასობდენ, ლაპარაკობდენ, და ჯერ კი ეს საგნები ისევ იმავე მდგომარეობაშია, როგორც პირველად დაწყების დროს იყო.

იმედი ვიქონიოთ, რომ ახლანდელი გამგეობის მეცადინეობა და სჯა, ამ ორ საგანზე მაინც, ისე უნაყოფოთ არ ჩაივლის, როგორც ადრინდელებისამ ჩაიარა. იმედი ვიქონიოთ, რომ ახლანდელი გამგეობა უფრო გულ-დამჯდარათ მოილაპარაკებს ამ საგნებზე და უფრო მომეტებულის წინ-დახედვით გადაწყვეტს კითხვას— სამუდამოთ თითქმის სიბნელეში უნდა იყოს ქალაქი და თულუხჩის წყლით ვიკვებებოდეთ, თუ ოდესმე ჩვენი ქუჩები და ქალაქის მცხოვრებელთა კუჭები უკეთესს ბედს უნდა მოელოდეს.

ჩვენის ანგარიშით, სჯა ამ გაზით განათებაზე და წყლის გაყვანაზე ხვალ, ე. ი. ხუთშაბათს, უნდა დაიწყოს ქალაქის გამგეობამ. აჩქარება ამ შემთხვევაში ქალაქს ხელს არ მისცემს. ისევ ისა სჯობია, რომ აუჩქარებლივ, მაგრამ წინ-დახედვით დაიწყოს ეს საქმე და ისეთს შეცდომაში არ ჩავარდეს, როგორც კინაღამ წინანდელი გამგეობა არ ჩავარდა, ვილაც რუკის წყალობით.

მაგრამ ამ საქმის გადაწყვეტა და დაწყება კი აუცილებელად საჭიროა, —ეს ქალაქის გამგეობამ კარგათ იცოდეს....

ს. მესხი

იუბილეი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა

—

ხვალ, 25 სექტემბერს, იწყება იუბილეის დღესასწაულობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა და ამის გამო უადგილოთ არა გვგონია, რომ ხელ-მეორეთ გადმოვბეჭდოთ დღევანდელ „დროების" №-ში და გავახსენოთ მკითხველს ის ორიოდე სიტყვა, რომელიც ამ საგანზე იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი:

„ამ ენკენისთვის 25-ს თფილისში იქნება ოც-და-ხუთი წლის იუბილეი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

„ოც-და-ხუთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც კავკასიის მთავარ-მმართებელმა თ. ვორონცოვმა დააარსა ეს საზოგადოება ადგილობრივი მეურნეობის წარმატებისა და გაუმჯობესობისათვის; — და საზოგადოება ახლა ამ თავის დაარსების დღეს დღესასწაულობს.

„არც მაშინ, თ. ვორონცოვის დროს, და არც იმის შემდგომ მთავრობა ღონისძიებას არ ზოგავს, რომ საზოგადოებამ თავის დანიშნულება შეასრულეს და მართლა ნამდვილი სარგებლობა მოუტანს კავკასიის მეურნეობისათვის, იმ მეურნეობისათვის, რომელსაც დახმარება, ხელის-მოწყობა და ახალს გზაზე დაყენება ისე ეჭირება.

„ნამდვილი ციფრი საზოგადოებისაგან დახარჯულის ფულებისა, არ ვიცით. მაგრამ სულ ცოტა რომ ვსთქვათ და წელიწადში იმ 35 ათასის მანეთის მაგივრად, რომლის დახარჯვა იმას შეეძლო, მხოლოთ ათი ათასი მანეთი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ საზოგადოებას ო რ ა ს ო რ მ ო ც-და-ა თ ი ა თ ა ს ი მანეთი მაინც უნდა დაეხარჯა ჩვენი მეურნეობის წარმატებისათვის!

„ახლა, ოც-და-ხუთი წლის შემდეგ, ჩვენი მეურნეობა თითქმის იმავე მდგომარეობაშია, როგორც საზოგადოების დაარსების დროს იყო. ბევრი არაფერი არა შეჰმატებია რა ჩვენს მეურნეობას, წარმატების გზაზე არ დამდგარა, არაფერი ახალი წარმოება არ შემოსულა, არცერთი ძველი წარმოების საქმე წინ არ წაწეულა, არ გაუმჯობესებულა. ერთმა-ორმა მემამულემ და ჩვენში გადმოსახლებულმა უცხო ქვეყნელებმა რომ შეიძინეს,—ეს ხომ კავკასიის მეურნეობის წარმატებისათვის არ იყო.

„ღირსია ყურადღებისა, რომ ქვეყანაზე ძნელად მოიპოვება მეორე ისეთი მხარე, რომელიც ისეთს ფართო ასპარეზს წარმოადგენდეს სხვა და სხვა წარმოებისათვის და მეურნეობის გაუმჯობესებისთვის, როგორც საქართველო და საზოგადოთ კავკასია. ამ ერთ მუჭა ქვეყანაში ყოველ გვარ ჰავას იპოვით, ყოველ გვარ მიწას. ისეთი სამეურნეო პირუტყვი და მცენარე, მგონია, დედა-მიწაზე არ მოინახება, რომელიც ან ერთს და ან მეორე კავკასიის მხარეში არ მოშენდეს და არ გასძლოს. თამბაქო, ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი, პური, ღვინო, ყველაფერი რაც გნებავთ, მოიყვანეთ, ოღონდ ცოდნა იყოს, ოღონდ ხელის განძრევა არ გვეზარებოდეს.

„ამისთანა ქვეყანა, ამისთანა სამეურნეო ასპარეზი აქვს ხელში, ოც-და-ხუთი წლის განმავალობაში, ჩვენს საზოგადოებას.

„მოხერხებული დროა ახლა, ეს იუბილეი, რომ ყველა ამაებზე კარგათ მოიფიქროს საზოგადოებამ. და თუ მოიფიქრებს ამ წასულ ცხოვრებაზე, იმედი გვაქვს, რომ მომავალში ის თავის მოქმედების გზას კარგათ წაიყვანს.

დღიური

—

☐ ბათუმიდამ შემდეგ ახირებული და უაზრო ხმის გავრცელებას გვწერენ, 18 სექტემბრიდამ:

„ამ ჟამად, როგორც წინეთაც მოგახსენეთ, მმართებლობა აგროვებს აქ რამდენსამე ბატალიონს რედიფებს, როგორც გაწვრთნისათვის, აგრეთვე შინაურობაში წესიერებისთვის დასაცველად. ეს გარემოება აქაურ თათრებმა და მთავრობის წვრილ მოხელეებმა სხვა რიგათ მიიღეს და გავრცელდა მათში ხმა და შიში, ვითომც თქვენ გვიპირებდეთ უეცრად თავზე დაცემას და ბათუმის აღებას. იქამდი შეშინებული არიან, რომ ყველაფერს, რასაც თქვენი მხრიდამ ნახვენ ან გაიგონებენ, ერთს ასად აქცევენ და სიზმარშიაც კი, მგონი, ბათუმის წართმევა ეზმანებათ."

☐ რაჭიდამ გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად თითქმის ყველა იქაურ სოფლებში ძალიან გახშირებული მუცელა არისო და მთელს ამ მაზრაში ერთი ექიმი არ არისო, რომ ავათმყოფებს ყური უგდოს და უწამლოსო. ადრე აქ საკუთარი უეზდის ექიმი ყოფილა, შემდეგ ამ გვარი რომელიმე ავათმყოფობის გავრცელების დროს ქუთაისიდამ აგზავნიდნენ დროებით ექიმსაო და ახლა კი არც ერთია და ვერც მეორეს ვეღირსეთო.

☐ ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში იქაური ქართული სცენის წრე ერთს ქართულ წარმოდგენას ამზადებს; უნდა წარმოადგინოს ერთი ნათარგმნი კომედია — „ახირებული უბედურება" და გ. ერისთვის კომედია — „მაიკო."

☐ ჩვენ შევიტყვეთ, რომ კენჭის ყრა, რომელიც ამ თვის 16-ს უნდა ყოფილიყო ქუთაისის ქალაქის გამგეობისათვის ხმოვანების ამოსარჩევათ, არ მომხდარა. სწორეთ ამორჩევის წინა დღეს ყველა ამომრჩევლებს უწყება მოსვლიათ, რომ ხვალ კენჭის ყრა არ იქნება და როცა დაინიშნება, ცალკე უწყებით გამოგიცხადებთო.

☐ ახალი ამბავი ჩვენი თეატრის მოყვარეებისათვის: გუშინწინ რომ ქალაქის გამგეობას პირველი სხდომა ჰქონდა, იმ სხდომაზედ, სხვათა შორის, თეატრის თაობაზე მიიღეს კამისიის ჰაზრი და გადასწყვიტეს, რომ თეატრის გამართვა იმავე პლანით და იმავე ალაგზე (ქარვასლაში) უფ. თამამშოვის ვალდებულობა არისო, და ამის გამო ეთხოვეთ იმას, რომ, ორი კვირის განმავალობაში, პასუხი გვითხრას—როდეს აპირებს თავის ქარვასლაში თეატრის გამართვისათვის მუშაობის დაწყებასაო. კამისიის ჰაზრით, უფ. თამამშოვმა ერთის წლის განმავალობაში უნდა გამართოს ისევ თეატრი იმ ფულით (34 ათასი მანეთით), რომელიც იმან

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲒᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲛᲘᲠᲚᲝ. ᲣᲤ. ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲝᲕᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲭᲐᲖᲠᲘᲡᲐ; ᲘᲛᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲘᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪᲐ-ᲓᲐ-ᲛᲐᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲡ ᲮᲔᲚ-ᲐᲮᲚᲐᲓ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲒᲔᲚᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲐᲕᲐᲨᲔᲜᲔᲑ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡᲐᲝ ᲓᲐ ᲐᲛ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲑᲘᲠᲭᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲛᲐᲠᲗᲝᲗ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲯᲔᲠ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ; ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚ, ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲤ. ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲔᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ, ᲗᲣ ᲐᲛ ᲞᲐᲡᲣᲮᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲘᲔᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ.

☐ „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲮᲕᲔᲡᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲨᲐᲕᲘ ᲬᲐᲡᲣᲚᲐᲜ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ. ᲘᲛᲐᲗ ᲬᲐᲣᲚᲘᲐᲗ ᲗᲐᲜ ᲛᲘᲜᲣᲨᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲢᲧᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲡᲣᲠᲗ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲜ: ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲥ ᲐᲥᲐᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲐ. „ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲘᲓᲜᲔᲜᲝ, ᲘᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲝ.

☐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲩᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡᲝ.

☐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲒᲐᲛ (ᲓᲣᲛᲐᲛ) ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲝᲬᲛᲐᲕᲐᲚᲡ ᲡᲮᲓᲝᲬᲛᲔᲑᲨᲘ

1) ᲑᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲡᲣᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ 3 ᲗᲘᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ: Ა) ᲑᲚᲐᲛᲐᲖᲓᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ Ბ) ᲣᲤ. ᲝᲚᲙᲝᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲓᲙᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲝᲡ.

2) ᲙᲐᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ.

3) ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲕᲐ: ᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲓᲐᲛᲤᲐᲡᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲔᲒ ᲐᲛᲝᲠᲩᲘᲕᲘᲐᲜ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ: ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ (ᲣᲞᲠᲐᲕᲘᲡ) ᲓᲐ ᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲐᲛᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ.

4) ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲐ; ᲐᲛ ᲡᲐᲒᲜᲘᲗᲔᲑᲘᲡᲐ ᲰᲐᲖᲠᲘ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘᲡ Ⲛ. Ⲇ. ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡᲐ.

5) ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ 1875 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚ-ᲒᲐᲡᲐᲕᲐᲚᲖᲔ.

6) ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ (ᲣᲞᲠᲐᲕᲘᲡᲐ) ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲗ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡᲐ.

7) ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲐᲦᲒᲘᲜᲘᲡᲐ.

8) ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲛ ᲡᲐᲫᲝᲕᲐᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲙᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲗᲗ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲘᲯᲐᲠᲘᲗ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ.

9) ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ I ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲛᲔᲘᲡᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲕᲐᲠᲢᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡᲐ.

10) ᲨᲢᲐᲢᲡ-ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲖᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

11) ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ ᲩᲘᲛᲘᲨᲙᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲖᲔ.

12) ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲤ. ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡᲐ.

13) ᲙᲣᲙᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲬᲧᲕᲐᲖᲔ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ. ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘᲡ Თ. Ⲓ. Ⲕ. ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜ-ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲡᲙᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔᲓ.

14) ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘᲡ Ⲁ. Ⲓ. ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲰᲐᲖᲠᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔᲓᲔᲕ.

15) ᲓᲘᲓ-ᲮᲔᲔᲖᲔ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲐᲖᲔ.

16) ᲘᲛ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 1874 Წ. 5 ᲓᲐ 6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲜᲘᲐᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ.

17) ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐᲖᲔ ᲘᲛ ᲮᲐᲠᲯᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲔᲡᲔᲑᲔᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜ ᲧᲐᲠᲐᲣᲚᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

18) ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲤ. ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲫᲘᲠᲝᲩᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲰᲐᲖᲠᲘ ᲐᲛᲐᲖᲔᲓ.

19) ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲛ 109 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ.

20) ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲥᲕᲘᲨᲘᲡ ᲛᲐᲔᲓᲜᲘᲡ ᲛᲝᲙᲘᲠᲬᲧᲔᲕᲐᲖᲔ.

21) ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ-ᲛᲬᲝᲛᲔᲚᲘᲡ — ᲩᲘᲛᲘᲨᲙᲘᲐᲜᲘᲡᲐ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ.

22) ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ-ᲛᲬᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲔᲠᲘᲛᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲩᲣᲦᲣᲠᲗᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

23) ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲥᲠᲝᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲛᲐᲜᲓᲘᲡ ᲚᲘᲜᲔᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

24). ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲜᲐᲔᲗᲚᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲔᲗᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲯᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ.

25). ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲕᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲑᲠᲘᲒᲝᲠ ᲐᲘᲕᲐᲖᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲫᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ.

26). ᲜᲐᲓᲔᲓᲠᲝᲜᲘ ᲡᲝᲕᲔᲢᲜᲘᲙᲘᲡ ᲞᲔᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔᲓ.

27). ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡᲐ. ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ:

28). ᲑᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲪᲝᲚᲡ ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲫᲔᲑᲡ.

29) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲑᲐᲢᲐᲨᲕᲘᲚᲡ.

30). ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲥ ᲚᲐᲥᲔᲡ ᲮᲔᲩᲐᲢᲣᲠ ᲘᲡᲐᲙᲘᲡ ᲫᲔ ᲮᲔᲩᲐᲢᲣᲠᲝᲕᲡ.

31). ᲐᲠᲣᲗᲘᲜ ᲡᲐᲠᲥᲘᲡᲘᲡ ᲫᲔᲡ ᲛᲘᲠᲣᲛᲝᲕᲡ.

32). ᲡᲐᲠᲥᲘᲡ ᲢᲝᲠᲩᲘᲔᲡ.

33). ᲡᲐᲠᲥᲘᲡ ᲛᲘᲠᲖᲝᲔᲕᲡ.

34) ᲙᲝᲚᲥ. ᲡᲝᲕᲔᲢ. ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲕᲐᲡ. ᲙᲚᲘᲣᲩᲐᲠᲝᲕᲡ

35). ᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲓᲐᲒᲝᲕᲘᲡᲐᲗ.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ №-ᲨᲘ)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲓᲐᲛ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲐᲛᲓᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲠᲢᲝᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲜᲓᲝᲛᲑᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ: ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲮᲐᲠᲯᲡ ᲘᲛ ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲘᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ. ᲠᲢᲝᲡ ᲒᲐᲡᲐᲧᲕᲐᲜᲐᲗ 300,000 (ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ) ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲣᲑᲐᲥᲝᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲓᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲡ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲐᲛᲓᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲠᲢᲝᲡ ᲒᲐᲣᲚᲘᲐᲜᲐ ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ: ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲮᲐᲠᲯᲡ ᲘᲛ ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲘᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝᲗ ᲣᲬᲘᲜ ᲩᲘᲑᲣᲮᲩᲘ - ᲗᲔᲡᲚᲘ-ᲘᲐᲖᲣᲜ-ᲝᲚᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝᲗ ᲣᲬᲘᲜ ᲩᲘᲑᲣᲮᲩᲘ ᲛᲔᲩᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲭᲣᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘᲚᲘ ᲣᲐᲖᲘᲚᲐᲠ-ᲤᲐᲨᲘᲡᲒᲐᲜ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔ, ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲛᲘᲡᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲑᲘ ᲩᲘᲑᲣᲮᲩᲘ ᲗᲔᲡᲚᲘ-ᲘᲐᲖᲣᲜ-ᲝᲚᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲙᲘᲗᲮᲐᲗ, ᲗᲣ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲐᲛᲝᲛᲓᲕᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲘᲡᲔᲗᲛᲐ ᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲠᲗᲔᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲡᲐ ᲡᲘᲫᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲔᲖᲘᲖᲦᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲓᲘᲓ ᲯᲐᲛᲐᲒᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲔᲓᲐᲜ ᲗᲐᲘᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, ᲓᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲠᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲕᲜᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜᲝ. ᲐᲛᲐᲖᲔᲓ ᲩᲘᲑᲣᲮᲩᲘ ᲗᲔᲡᲚᲘ-ᲘᲐᲖᲣᲜ-ᲝᲚᲚᲘ-ᲤᲐᲨᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲗ ᲔᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲞᲐᲠᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲛᲔᲚᲘᲥ-ᲑᲐᲚᲘᲥᲩᲘ-ᲣᲮᲣᲜ-ᲝᲚᲚᲘᲛ ᲛᲘᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲘᲜᲔᲑᲐᲝᲗ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛᲐᲝ ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲡᲪᲔᲚᲚᲝᲑᲔᲜᲝ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲨᲝᲕᲔᲜᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲓᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲘᲓ-ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲝ...

ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲠᲐ ᲜᲐᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲬᲧᲐᲚᲝᲑᲓᲔᲡ?!

ᲭᲝᲑᲣᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ
Ⲓ. ᲗᲐᲛᲐᲖ-ᲝᲚᲚᲘ

Ს

უცია, რომ პეტერბურღის ყველა ეკკლესიებში ფულები მოკრიფონ ჰერცოგოვინისა და ბოსნიის აჯანყებულების სასარგებლოთ.

მოსკოვში ამავე აჯანყებულების მიცვალებულებისათვის ეკკლესიებში პარაკლისი გადაუხდიათ.

✠ ოდესიდამ იწერებიან, რომ რამდენსამე იქაურს ქალს საზოგადოება შეუდგენიათ და აგრეთვე გერცოგოვინელების სასარგებლოთ ფულებსა და სხვა ყველაფერს, რაც ომიანობისთვის გამოადგებათ იმათ, აგროვებენო. სხვათა შორის, ისინი მასკარადს მართავენ, რომელზედაც ყველანი სლავიანურს ტანისამოსში უნდა იყვნენ და რომლიდამაც შემოსული ფული ჰერცოგოვინელებს უნდა გაუგზავნონ.

✠ პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ წელს ძალიან ბევრი ახალგაზდები დარჩენილან უნივერსიტეტში და სხვა უმაღლესს სასწავლებელში მიუღებლად, რადგან ვაკანსია არ იყოთ. ამის გამო ს.-პეტერბურღის უნივერსიტეტის ზოგიერთ პროფესორებს ჰსურთ თურმე, რომ თავისუფალი კურსები გამართონ, სადაც ამ მიუღებელ სტუდენტებს გარდა ქალებსაც მიიღებენ მსმენელებად.

უცხო ქვეყნები

ჰერცოგოვინის არეულობა. ევროპის ელჩები, რომელნიც ჰერცოგოვინაში არიან ამ ჟამად აჯანყებულების მოსარიგებლად ოსმალოს მმართებლობასთან, ტრებინიეს ქალაქთან მისულან და ზოგიერთ აჯანყებულების მოთავეებთან ჰქონიათ მოლაპარაკება. ამათ უთქვამთ, რომ ჩვენ მხოლოთ მაშინ დავიწყებთ თქვენთან მოლაპარაკებას, თუ თქვენი მარწმუნებელი სახელმწიფოები პირობას მოგვცემენო, რომ რა პირობითაც ჩვენ ოსმალოსთან მოვრიგდებით თუ იმ პირობის მტკიცეთ შესრულების თავდებათ დაგვიდგებითო. ევროპის სახელმწიფოების ელჩებს ამაზე ვერაფერი ვერ უთქვამთ, რადგან ამ საქმის გადაწყვეტისა და ამ გვარი დაპირების უფლება იმათ არა აქვთ მინდობილი, და ამის გამო ისევ მასტარში დაბრუნებულან დანარჩენ თავიანთ ამხანაგებთან მოსალაპარაკებლად.

დარწმუნებით კი ამბობენ, რომ ევროპის სახელმწიფოების გარევა ამ საქმეში აჯანყებას ვერ დააშოშმინებსო, აჯანყებულებს არაფერი დაპირება არა სწამთ ოსმალოსაგანაო.

ბრძოლის ველიდამ ამ უკანასკნელ დროს მხოლოთ ერთს შეტაკებაზე იწერებიან, რომელიც ქ. ზაჩკასთან მომხდარა. აჯანყებულებს ამ შეტაკების დროს 900 კაცი ჰყოლია, ოსმალებს კი 3,000, მაგრამ გამარჯვება გერცოგოვინელებისაკენ დარჩენილა; ოსმალოს მხრით 200 კაცი დახოცილა და მძიმედ დაჭრილა, 30 დაუტყვევებიათ, აჯანყებულების მხრით კი ამის ნახევარიც არ დახოცილა.

ერთს სტამბოლის გაზეთში იწერებიან, ვითომც ჩერქეზი იბრაჰიმ-ფაშა მისულა მაჰმად-ნადიმ-ფაშასთან და წინადადება მიუცია, რომ 20,000 ჩერქეზის ჯარით გამოვალ და დავამშვიდობებ აჯანყებულებსაო. მაგრამ ეს სტამბოლის გაზეთი გვარწმუნებს, რომ ეს წინადადება სამხედრო მინისტრმა არ მიიღოვო, რადგან ჩვენის საშუალობითაც მალე დავაწყნარებთ განდგომილებსაო.

ესპანია. მადრიდის გაზეთებში იწერებიან, ვითომც დონ-კარლოსს ესპანიის მმართებლობისთვის წიგნი მიეწეროს და მორიგების თაობაზე მოლაპარაკების დაწყება ეთხოვოს.

ამერიკის რესპუბლიკა. ნიუ-იორკიდამ დეპეშა მოვიდა, რომ ფალრივერის ბამბის ფაბრიკების მუშებმა, 10,000 კაცმა პირი მისცეს ერთმანეთს და აღარ აპირებენ მუშაობას, სანამ ფაბრიკის პატრონები დღიურ ქირას არ მოუმატებენო.

ქრონიკა

42

ქართველების სარწმუნოება და ცვლილება, რომელიც იმაში მოახდინა ფარნავაზმა

—

ზოროასტრის სარწმუნოების დამფუძნებელს (ზოროასტრს) ეგონებ, ჰაზრათ ისა ჰქონია, რომ ყველა კაცისათვის დაედო წრე მოქმედებისა, გაეყო ხალხი კლებად და ასრე ყველა თავის ბედის კმაყოფილი გაეხადა. მოგვებს ანუ მობედებს შეეძლოთ ჯარების წინამძღოლად ყოფნა, მაგრამ ნება არ ჰქონდათ, რომ იმათ მიწის მუშაკობა და რამე ხელოსნება დაეწყოთ.

ლოცვა-ვედრება მოგვისა ისრეთი უძვირფასესი იყო, რომ თუ ექიმი მოარჩენდა ვისმეს იმათგანს სნეულებისაგან თავის თავს არმაზისაგან დაჯილდოებულად რაცხდა და საგამრჯელოს არ ართმევდა.

„თქვენი კეთილი საქმეები", ამბობს „ზენდ-ვესთი", „ხის ფოთლებზე, წვიმის წვეთებზე, ციურს ვარსკვლავებზე და ზღვის ქვიშაზედაც მომეტებული რომ იყოს, მაშინაც კი თქვენ არ გექნებოდათ არავითარი სარგებლობა, თუ რომ არ გესიამოვნებინათ მოგვისათვის. თუ რომ გინდათ გწყალობდეთ ეს სულის მაცხოვნებელი მოძღვარი, თქვენ უკლებლად უნდა აძლევდეთ იმას მეათედს, რაცა გაქვთ,—თქვენის ქონებისაგან და ფულებისაგან. თუ რომ თქვენ დააკმაყოფილებთ მოგვსა, თქვენი სული დახსნილი იქნება ჯოჯოხეთის წვალებისაგან; თქვენ გექნებათ სააქაოსაც და საიქიოსაც ნეტარი, მშვიდობიანი ცხოვრება; მოგვები არიან რჯულის მოძღვარნი: იმათ ყველაფერი იციან და შეუნდობენ კაცს ცოდვასა თვისსა."

ზოროასტრი ხალხს რომ არიგებს, ასრე ეუბნება: „იცხოვრეთ დიდის სიფრთხილით და გეშინოდეთ უფლის სამართლისა; ნურას იზამთ უიმისოდ რომ სხვას არ დაეკითხოთ, ნებას გაძლევთ სარწმუნოება იმის ჩადენისაც, როცა გწადიანთ, თუ არა. თუ დღისით ლოცულობთ, მზეს უყურეთ, თუ ღამე ლოცულობთ, მაშინ თვარეს: ეს ორი უდიდესი მნათობები მოწმობენ წინაშე არმაზისა. „ლოცვა-ვედრების დროს მოგვი ჯერ წაიკითხავდა ლოცვებს, მერმე ჩააგდებდა ცეცხლში რამდენსამე ხის ნეკერს და ეუბნებოდა ხალხს:" ღმერთმამისცა ზოროასტრს ცეცხლი, როგორც ნიშანი თავისი უცნაური სიძლიერისა; ცეცხლი არის წყარო სინათლისა და სითბოსი, რომელიც ინახავს ყველა ქმნულების სიცოცხლესა."

საზოგადო ცხოვრების შესახებ კიდე ასრე ამბობდა: „სიტყვითაც კი ნურავის აწყენინებთ, არამედ გიყვარდეთ მოყვასი საზოგადო ერთობრივი ცხოვრებისა და კეთილ-დღეობისათვის.

„ასწავლებდეთ და არიგებდეთ თქვენსა შვილებსა, ამისათვის რომ ყოველი იმათი კეთილი საქმე თქვენ, მამებს, კეთილად მოგეთვლებათ და გამშვენიერდება სული თქვენი; მისდიეთ ყოველთვის სიმართლესა და ჭეშმარიტებას, რადგან ამათზე კარგი არმაზს არა დაუბადებია რა.

„იყავით ყოველთვის მშვიდნი და მაშინ თქვენ უძლურებს აღარ შეაწუხებთ,—აღარ მოიპარავთ, არ იტყუებით და არ იქნებით გარყვნილნი; მაგრამ თუ არ იქნებით მშვიდნი, მაშინ ყველა ეს ცოდვები თქვენ გექნებათ.

„ის, ვინც იქცევა სიმართლით, აგრეთვე ბრწყინვალეა წინაშე არმაზისა, როგორც ისა, ვისაც წაუკითხავს ათი ათასი ლოცვა."

ინგილო ჯანაშვილი

წესდება

თფილისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა

—

X. ამხანაგობის ანგარიში.

100) ამხანაგობის გამგებლობა ვალდებულია იქონიოს შემდეგი დავთრები:

ა) დიდი შემოსავლის დავთარი, რომელშიაც უნდა იწერებოდეს ერთმანეთზე მიყოლებით დროს რიგით, თუ როდის შემოსულა ყველა ფული და სარგებლიანი ქაღალდები ამხანაგობისა, ყოველ გვარ აღებ-მიცემობაზედ.

ბ) დიდი გასავალის დავთარი, რომელშიაც ერთმანეთზე მიყოლებით დროს რიგით უნდა იწერებოდეს, ამხანაგობის გასავალი ფულისა და სარგებლიანი ქაღალდებისა ყოველგვარ აღებ-მიცემობაზედ.

გ) ანგარიშის დავთარი წილადის და გასესხებული ფულების აღებ-მიცემობისა; აქ უნდა იწერებოდეს აღებ-მიცემობა წილადის და სესხათ მიცემულის ფულებისა ყოველ ცალკე წევრთან, რომლისა გამო ყოველს იმათგანს ამ დავთარში განსაკუთრებული ანგარიში უნდა ჰქონდეს დანიშნული.

დ) ანგარიშის დავთარი სასარგებლოთ შემოტანილის და სასესხის ფულების აღებ-მიცემისა; ამ წიგნში უნდა ჩაიწეროს აღებ-მიცემის [illegible] სასარგებლოთ შემოტანილის ფულებისა და აღებულის ვალისა, როგორც თვითოეულ თავის წევრთან, აგრეთვე გარეშე პირებთან და ადგილებთან; ამისათვის ყოველს პირს და ადგილს წიგნში განსაკუთრებული ანგარიში უნდა ჰქონდეს.

ე) წევრების დავთარი, რომელშიაც შემოსვლის ერთმანეთზე მიყოლების რიგით უნდა იწერებოდნენ ამხანაგობაში შემოსულნი წევრნი.

ვ) დავთარი სესხის თხოვნისა; ამ წიგნში რიგ-რიგათ უნდა ჩაიწერებოდნენ ამხანაგობის წევრები, რომელნიც სესხათ ფულს ითხოვენ, და

ზ) ანდერძის დავთარი, რომელშიაც უნდა მოხსენებული იყვნენ ის პირები დასახელებით, ვისაც წევრს ჰსურს გარდასცეს თავის სიკვდილის შემდეგ წილადი ფული ანუ მისი ნაწილი და აგრეთვე მოიხსენება ის საგნები რაზედაც თავის წილადის ფულის ანუ ნაწილის მოხმარებას ისურვებს;

111) დავთრები, მოხსენებულნი 110 მუხლში პუნქ. ა და ბ დაწესებულებია მხოლოდ თითოს წლისათვის; შემდეგ ერთის წლისა ისინი უნდა ინახებოდნენ ამხანაგობის ფულებთან ათს წლამდინ—საჭირო ცნობების ამოსაკითხავათ.

112) იმ წიგნებისათვის, რომელნიც მოხსენებულებია 110 მუხლში პუნქ. გ, დ, ე, ვ და ზ, ვადა არ ინიშნება და ერთათ ამხანაგობის ფულებთან ინახებიან იქნობამდე, ვიდრე საჭიროება მოითხოვდეს.

113) ამხანაგობის ანგარიშის წელიწადი იანგარიშება პირველს იანვრიდამ — 31 ქრისტეშობისთვემდე; თუ ამხანაგობამ თავის მოქმედება დაიწყო წლის განმავალობაში, მაშინ პირველი ანგარიშის წელიწადი იანგარიშება იმ დღიდამ, რა დღესაც ამხანაგობამ მოქმედება დაიწყო ვიდრე 31 ქრისტეშობისთვემდე იმავე წლისა.

114) ამხანაგობის გამგებლობა ყოველ წლის 31 ქრისტეშობისთვეს გაუკეთებს ჯამს ყველა თავის დავთრებს (მუხ. 110 პ. ა, ბ, გ და დ) და იმ წიგნებით შეადგენს მთელის წლის ამხანაგობის აღებ-მიცემობის ანგარიშსა.

115) ანგარიშმა უნდა შეიცვას: შემოსავალი, გასავალი და ძირს დარჩომილი ფულები აღებ-მიცემობისა, რომელიც მთელს წელიწადს ამხანაგობას ჰქონია; თვითოეული აღებ-მიცემობის საგანი ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები, დიდი დავთრების განყოფილების მიფარდებით (მუხ. 110 პუნქ. ა და ბ.); აგრეთვე ნაჩვენები უნდა იყოს მოგების და ზიანის ჯამი.

(დასასრული შემდეგში)

ნარევი

ის ახალგაზდა ინგლისელ ქალს, რომელსაც ამას წინათ ერთმა პოლკოვნიკმა—ბეკკერმა რკინის გზის ვაგონში შეურაცხყოფა მიაყენა და რომლის საქმემაც სასამართლომდი მიაღწია, იმ ქალს, როგორც ამბობენ, პროცესსის გათავების შემდეგ, 200 კაცისაგან მოსვლია თხოვნა, რომ ცოლად გამომყევიო. ასეთს ალტაცებაში მოუყვანია ამ ქალს გულჩვილი და ზნეობიანი ინგლისელები!... „ბევრი გაუთხოვარი ქალი ნატრობს ახლა ჩვენში ამ ქალის ბედსაო და ბევრი ნანობს,—რატომ მე არ მომაყენეს ამისთანა შეურაცხყოფაო, იქნება მეც მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე გავთხოვდებოდიო!“ ასე სწერენ ერთს ინგლისურს გაზეთში.

* * *

ბრიუსელში (ბელგიაშ) არის ამ ჟამად ევროპის ექიმების საზოგადო კრება, რომელზედაც სხვა და სხვა გიგიენურ და საექიმო საგნებზე უნდა მოილაპარაკონ.

* * *

რიგაში ყოფილა კრება იმ თოფისმსროლელების საზოგადოებისა, რომელიც დიდი ხანია არსებობს და რომლის მსგავსი საზოგადოებანი ევროპის თითქმის ყოველ ქალაქში არის. მიზანში თოფი უსვრია რამდენსამე ასს კაცს — ამ საზოგადოების წევრს და ყველაზედ უკეთესად ამოუღია ერთს რომელსამე მოქალაქეს — ბრუნსს, რომელიც კრებას „მსროლელთა მეფეთ“ დაუსახელებია.

* * *

ახირებული შურის-გება მოუგონია პეტერბურღის ერთი პოლიციის ჩინოვნიკის ცოლს, რომელსაც თავის ქმრისათვის სხვა ქალის სიყვარული შეუწამებია. ამ პოლიციის ჩინოვნიკს შრომით მონაგები 6,000 მანეთი ჰქონია ყუთში; ეჭვიანობისაგან გაბრაზებულ ქალს გაუღია ეს ყუთი, ამოუღია ფულები და ცეცხლში დაუწვავს.

* * *

ერთს ოკრიბელ გლეხის სახლს იმერეთში ცეცხლი გაუჩნდა თურმე და როცა მეზობლები მოეშველენ, სახლის პატრონმა მიუშვირა იმათ ხელი ერთი სახლის კედლისაკენ და დაიწყო ყვირილი: „არიქა, მიშველეთ, იქ დააყარეთ ბლომათ მიწა, თორემ დავიღუპეო!“ ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმ სახლის ყურეში, მიწაში ამ გლეხს ფულები ჰქონდა თურმე დაფლული.

განცხადებანი

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი ტელიაფუსი — ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ბრაბოვსკი — ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაფუსი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ. და ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ისყიდება **ყოველ გვარი** ქართული **წიგნები** თფილისში ეპიფანე კალანდაძის და ამხან. წიგნის მაღაზიაში, ქუკიის ხიდზე, მირზოევის სახლში, აბოვიანცის მაღაზიის პირდაპირ. (6—5)

ისყიდება

თფილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

საყმაწვილო კონა

ირეველ-დაწყებითი მოთხრობებისა

ბუნების მეცნიერებიდამ

შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან

გამოცემული სტ. ზარაფოვისაგან

ფასი ხუთი შაური

დაიბეჭდა და ისყიდება

თამარ საქართველოს ბატონიშვილი

ისტორიული რომანი

გ. რჩეულოვისა.

თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე გავხსენი ქუკიაში, მიხაილოვის ქუჩაზე, ზარაფოვის სახლების პირდაპირ

ახალი საკაზმავი წიგნებისა

და ვიღებ საკაზმავად წიგნებს ჩვეულებრივს ფასზე უფრო იეფად.

ზ. **ცომაია**

ფოთი თფილისის რკინის გზა

განცხადება

ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობა აცნობებს საზოგადოებას, რომ ამ 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს იმ პირებისთვის, რომელნიც მცხეთობაზე წასვლას მოისურვებენ, დანიშნული იქნება ცალკე მატარებლები; იმ მატარებლებში კი, რომელნიც მუდამ დაარებიან, ამ დღეებში მოგზაურებს არ მიიღებენ. რკინის გზის მატარებელი ამ წესით ივლის:

30 სექტემბერს

თფილისიდამ	მცხეთიდამ
საღამოს 6 საათზე	საღამოს 7 საათზე და 23 მინ.
„ 6 საათზე და 30 მინ.	„ 7 საათზე და 50 მინ.

1 ოქტომბერს

თფილისიდამ			მცხეთიდამ		
დილის	6 საათზე და	30 მინ.	დილის	7 საათზე და	33 მინ.
„	7 „ „	32 „	„	8 „ „	35 „
„	8 „ „	34 „	„	9 „ „	33 „
„	10 „ „	25 „	„	11 „ „	28 „
„	11 „ „	30 „	ნაშუადღევს	12 „ „	33 „
ნაშუადღევს	12 „ „	34 „	„	2 „ „	46 „
„	2 „ „	48 „	„	3 „ „	50 „
„	3 „ „	50 „	„	4 „ „	56 „
საღამოს	6 „ „	„ „	საღამოს	7 „ „	2 „
„	7 „ „	2 „	„	8 „ „	4 „
„	8 „ „	4 „	„	9 „ „	6 „
„	9 „ „	10 „	„	10 „ „	33 „

ყოველს მატარებელში იქნება 48 ადგილი I კლასის მოგზაურისთვის, 128 ადგილი II კლასისთვის და 600 ადგილი III კლასისთვის.

დღესასწაულის წინა დღეს და თვით დღესასწაულ დღესაც თფილისისა და მცხეთის რკინის გზის სტანციაზე ბილეთები ოთხ ალაგას გაისყიდება კასსებში; I და II კლასის ბილეთები ჩვეულებრივს კასსებში და III და IV კლასებისა დროებით კასსებში №№ 2, 3 და 4 სტანციასთანვე. ყოველი მატარებლისათვის მხოლოთ იმდენი ბილეთები გაისყიდება, რამდენიც ადგილია; შემდეგ კასსები დაიხურება და გაიღება მხოლოთ შემდეგი მატარებლის წასვლის ნახევარი საათის წინათ.

იმ მოგზაურებს, რომელნიც უბილეთოთ ჩაჯდებიან მატარებელში, გზის ფასი ერთი-ორად გადახდებათ და რკინის გზის აგენტებისაგან მიეცემათ დამატებითი ბილეთები.

1 ოქტომბერს მცხეთაში, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციასთან, მაედანზე სამხედრო მუზიკანტების ხორი დაუკრავს ნასადილევის 3 საათიდამ საღამოს 11 საათამდინ.

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება

ტფილისში: მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში I და II კარი **ყარამანიანისა**, ფასი 30 კაპ. თავის სურათებით. აგრეთვე ენფიაჯიანცის საწიგნო მაღაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და აგრეთვე მიხაილოვის ხიდზედ უფ. მირზოევის შენობაში აბოვიანცის მაღაზიის პირდაპირ უფ. კალანდაძესთან.

ქუთაისში: ბუბერნიის სტამბაში სვიმონ ჩომახიძესთან. ყველგან ფასი 30 კაპ.

იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა III კარი **ყარამანიანისა**.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში **ისყიდება** მეორე გამოცემა **ქართულ-ფრანცუზულ ლექსიკონისა**, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. **ფასი** ერთი აბაზი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
გორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბექათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბექათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ.

სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — სამშაბათს, ღამით.

ოდესას — კვირას, გათენებისას.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 19 სექტემბ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $33^1/_8$ პენსი.	—	84
პარიჟში $339^1/_2$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	50
მოგებიანი (პირველისესხი)	227	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	221	—
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	93	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	25
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	195	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
კავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 23 სექტემ.		
პური შოთაგალის ფთ.	1	5
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	20
— ამერიკისა, ფუთი. .	—	—
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	80
— თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	15
— ფხვნილი ფუთი . .	6	80
ყავა გრგვალი ფუთი .	18	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	5	88

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Сентября 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.